ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3294400

ნომერი: AR1507232

თარიღი : 26.05.2017

გაცემის თარიღი : 02.06.2017

გაცნობის თარიღი : 02.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , N 66ა (ნაკვ.14/130) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა კაჭარავა პ/ნ 01030044982
- თბილისი მ.მამარდაშვილის ქ. N 46

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. სამსახურის მიერ გადმოგზავნილ დანართზე აისახოს შენობის განთავსების არეალი.

2. "მოთხოვნის ტექსტი"-ს გრაფაში დააზუსტეთ საპროექტო შენობის ფუნქცია, იმისათვის, რომ დავადგინოთ აღნიშნული ობიექტი საჭიროებს თუ არა სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას.

3. დაიანგარიშეთ მიწის ნაკვეთზე არსებული და საპროექტო შენობების კოეფიციენტები, შესაბამისი ფუნქციური ზონირებების მიხედვით.

4. წარმოადგინეთ იპოთეკარის, სს "ბაზისბანკი"-ს თანხმობა, იპოთეკით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე I კლასის შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით.

5. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად ფართზე ფიქსირდება სარგებლობა, აქედან გამომდინარე საჭიროა წარმოადგინოთ სარგებლობის საფუძველი ან საჭიროების შემთხვევაში მოსარგებლის თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.იმ შემთხვევაში თუ ფართი სარგებლობით აღარ გაქვთ გაცემული წარმოადგინეთ განახლებული ამონაწერი სადაც ფართზე სარგებლობა აღარ იქნება დაფიქსირებული.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.